საქართველოს რაგბის კავშირის
გამგეობის სხდომის ოქმი

თარიღი: 26 ივლისი, 2023 წ.

ესწრებოდნენ:
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი № 12001014781)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)

სხდომის მომწვევი: სრკ-ს გამგეობის წევრები გრიგოლ ქერაშვილი და ალექსანდრე ხვედელიძე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:
- ედუარდ ნაჭყებია, სრკ-ს იურისტი

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:

1. მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერისა და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციაში ცვლილებების შეტანა;
2. კლუბ „ყოჩების“ მომართვა;
3. თამაშის წესების ექსპერიმენტული ცვლილება;
4. რეგულაციების კომიტეტის ჩამოყალიბება

სხდომამ გადაწყვიტა:

პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერისა და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციაში ცვლილებების შეტანას, სრკ-ს გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს გამგეობის წევრის გრიგოლ ქერაშვილის მოხსენება, რომელმაც განუმარტა დამსწრეებს, რომ არსებული შეზღუდვა კლუბიდან კლუბში მორაგბეთა ტრანსფერზე გარკვეულწილად საზიანოა მორაგბეთა ინტერესებისთვის, ვინაიდან ზღუდავს მათ თავისუფალ გადაადგილებას კლუბებს შორის. წარმოდგენილი

არგუმენტების გათვალისწინებით და მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

ა) მოთამაშეთა სტატუსის, კონტრაქტების, ტრანსფერისა და რეგისტრაციის შესახებ რეგულაციის მუხლი 2.4 იცვლება შემდეგნაირად:

> *სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კაცთა ერთი და იგივე ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბში (გუნდში) ნებადართულია მეორე კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) არაუმეტეს სამი (3) მოთამაშის ტრანსფერი. გამშვებ და მიმღებ კლუბებს (გუნდებს) შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში, ნებადართულია დამატებით ორი (2) მორაგბის ტრანსფერი.*
> *დადგენილ ლიმიტი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მოთამაშეთა გადაა დგილება ხდება მაღალი ლიგიდან დაბალ ლიგებში.*

ბ) ზემოთ აღნიშნული ცვლილება ძალაშია 2023-2024 წწ. სათამაშო სეზონის დასრულებამდე.

მეორე საკითხთან - კლუბ „ყოჩების“ მომართვასთან დაკავშირებით, რომელიც სთხოვდა გამგეობას სატრანსფერო ფანჯრის გაგრძელებას 2023 წლის 15 აგვისტომდე, ვინაიდან კლუბის ძირითადი შემადგენლობის სამი მორაგბე ხვდება შვიდკაცა ეროვნულ ნაკრებში და, აღნიშნული ნაკრების წევრებთან პროფესიული კონტრაქტების გაფორმების შემთხვევაში, ფაქტობრივად ვეღარ ითამაშებს მშობლიურ გუნდში, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა განუმარტა დამსწრეებს, შვიდკაცა ეროვნული ნაკრების წევრებთან პროფესიული კონტრაქტების გაფორმება იგეგმება მომავალი სეზონიდან, რაც გამორიცხავს ამ ეტაპზე „ყოჩების“ წევრი მორაგბეების კლუბიდან გათავისუფლების და მათი ჩანაცვლების საჭიროებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გამგეობის წევრებმა საჭიროდ არ ჩათვალეს კლუბ „ყოჩების“ თხოვნის დაკმაყოფილება.

მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა თამაშის წესების ექსპერიმენტულ ცვლილებას, სრკ-ს აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა მოახსენა დამსწრეებს ელიტურ მსაჯთა განვითარების მენეჯერის დევიდ მაკჰიუს და განვითარების დირექტორი რამა ჩანდის შემოთავაზების შესახებ, საქართველოს ჩაერთოს თამაშის წესების ექსპერიმენტული ცვლილებების ტესტირებაში და საქართველოს ჩემპიონატში შემოიღოს შემდეგი ცვლილება: გარდასახვის შესრულებისთვის განკუთვნილი დროის მონაკვეთის შემცირება 60 წამამდე.
გამგეობის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ აღნიშნულ ინიციატივას.

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რეგულაციების კომიტეტის ჩამოყალიბებას, სრკ-ს პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ განუმარტა დამსწრეებს, რომ სხვადასხვა რეგულაციებისა და დებულებების არსებულ

საჭიროებებთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აუცილებელია რეგულაციების კომიტეტის შექმნა, რომელიც მუდმივად იმუშავებს სრკ-ს დებულებების განახლებაზე.
გამგეობის წევრები მიესალმნენ აღნიშნულ ინიციატივას; სრკ-ს პრეზიდენტს დაევალა კომიტეტის შემადგენლობის ჩამოყალიბება.

მერაბ ანთაძე _____

თორნიკე გოგებაშვილი _____

აკაკი დავითულიანი _____

ზვიად თავართქილაძე _____

დავით კაჭარავა _____

იოსებ ტყემალაძე _____

გრიგოლ ქერაშვილი _____

ალექსანდრე ხვედელიძე _____